პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

შაბათი, 17 აპრილი, 1948 წ. 77 (8121). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა, გავაუმჯობესოთ სავაჭრო ქსელის მუშაობა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მრეწველობის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის! (1-ლი გვერდი).
საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დროშით (1-ლი გვერდი).
ც. ხუნდაძე — ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობა (მე-2 გვერდი).
ი. დოლიძე, გ. კაკაბაძე — უპასუხისმგებლოდ შედგენილი ტერმინოლოგია (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
მივცეთ საბჭოთა ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა, გავაუმჯობესოთ სავაჭრო ქსელის მუშაობა

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტისა და ახალმშენებლობათა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, ჩვენი ინტელიგენცია შრომითი თავდადების ახალ-ახალ ნიმუშებს გვიჩვენებენ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში. მასების შრომითი აღმავლობის სათავეა საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის შეუნელებელი ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ოთხი თვის წინათ ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ფულის რეფორმა, გაუქმდა საბარათო სისტემა და დაიწყო გაშლილი საბჭოთა ვაჭრობა ერთიანი ფასებით. დრო შედარებით დიდი როდია ამ რეფორმის განხორციელებიდან, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია ის შედეგები, რაც უკვე მივიღეთ: გაფართოვდა საქონელბრუნვა, შემცირდა ფასები მასობრივი მოხმარების საგნებზე, გაიზარდა მშრომელთა რეალური ხელფასი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, განმტკიცდა შრომის დისციპლინა.

განვლილი ოთხი თვე ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის სერიოზული გამოცდის პერიოდი იყო. უნდა ითქვას, რომ ეს გამოცდა ჩვენი სავაჭრო სისტემის მთელ რიგ რგოლებში ჯეროვნად ვერ ჩააბარეს. გამომჟღავნდა მრავალი ნაკლოვანება სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა შესახებ ბევრი რამ სთქვეს ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე გამოსულმა დეპუტატებმა.

ვაჭრობისა და საქონელბრუნვის მდგომარეობის საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მორიგმა პლენუმმა. პლენუმმა თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს და სავაჭრო დარგის მუშაკებს დაუსახა გაშლილი სამოქმედო პროგრამა, მიუთითა იმ გზებზე, რომლებითაც მათ უნდა წარმართონ მთელი მუშაობა, რათა უმოკლეს დროში აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი, ამაღლდეს ვაჭრობის კულტურა, უკეთესად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების ძირითადი ნაკლოვანი მხარე ვაჭრობის ორგანიზაციის სისუსტეა. იმ დროს, როდესაც თბილისის საწარმოებმა პირველ კვარტალში არა მარტო გაანაღდეს დავალება, არამედ გეგმის გადამეტებითაც მოგვცეს ფართო მოხმარების საქონელი და ამით შექმნეს პირობები კულტურული საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლისათვის, დედაქალაქში მომუშავე სავაჭრო ორგანიზაციები ჩამორჩნენ საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში. ყველაზე დიდი ხვედრითი წონის სავაჭრო ორგანიზაციამ— თბილვაჭრობამ საქონელბრუნვის პირველი კვარტალის გეგმა შესრულა 96 პროცენტით, ცეკავშირის კოოპერაციული ვაჭრობის სამმართველომ — 57 პროცენტით, კოოპინკავშირმა—90 პროცენტით. ამის მთავარი მიზეზი იყო გამოყოფილი სასაქონლო ფონდების აუთვისებლობა, მიმწოდებელი და მოვაჭრე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობა.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია სავაჭრო ქსელის დისლოკაცია თბილისში. მაგალითად, ლენინისა და 26 კომისრის რაიონებში სავაჭრო ქსელი მცირეა, ხოლო ქალაქის ცენტრალური რაიონები მაღაზიებით გადატვირთულია. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ხშირია საბჭოთა კულტურული ვაჭრობის დარღვევის ფაქტები. ეს იმითაც აიხსნება, რომ სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვერ იჩენენ საკმაო სიფხიზლეს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში, ვერ იჩენენ სიმტკიცეს დასძლიონ და გასტეხონ ვაჭრობის მუშაკთა ერთ ნაწილში ომიანობის წლებიდან გადმოყოლილი ჩვევა საქონლის განაწილებისა, ნაკლებ წინააღმდეგობათა გზით სიარულისა. ამით აიხსნება აგრეთვე, რომ აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი ვაჭრობის წესების დარღვევას — საქონლის გაცემას მაღაზიათა საწყობებიდან. ამის შედეგია, რომ კიდევ არაა აღმოფხვრილი ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები, რომ ადგილი აქვს ფასების დამახინჯებას, საქონლის დატაცებასა და გაფლანგვებს.

ვაჭრობის კულტურა ჩვენს სავაჭრო ქსელში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ხშირად მაღაზიებში აქვთ ისეთი საქონელი, რომელზეც მომხმარებელი მოთხოვნილებას აყენებს, მაგრამ ეს საქონელი ისე ულაზათოდ არის ვიტრინაში და თაროზე წარმოდგენილი, რომ მომხმარებელს ეკარგება მისი შეძენის ხალისი.

გაუმართავად მუშაობენ მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ მომხმარებლის მოთხოვნილებას, არ სწავლობენ, თუ სავაჭრო ქსელში რა ასორტიმენტის საქონელი უფრო გასაღდება, არ იბრძვიან იმისათვის, რათა მრეწველობამ მათ მიაწოდოს ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია. ხშირად მიმწოდებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების უუნარობას იქამდე მიჰყავს საქმე, რომ მრეწველობიდან მიღებულ პროდუქციას ვერ ინახავენ წესისამებრ. ამის შედეგად პროდუქციის ხარისხი ქვეითდება და შემდეგ, ბუნებრივია, ასეთი პროდუქციის რეალიზაცია ფერხდება.

ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები. დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების, სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ამოცანაა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ ღონისძიებების განხორციელებას. საჭიროა გავაძლიეროთ სავაჭრო ქსელის მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, მოვახდინოთ დახლის მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადება, წავახალისოთ კარგი მუშაკები, გამოვამჟღავნოთ და განვდევნოთ უცხო, მიტმასნილი ელემენტები, ქურდები, გამფლანგველები, სპეკულანტთა მხარდამჭერები. რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სავაჭრო ორგანიზაციების განმტკიცებას შემოწმებული, ნაცადი მუშაკებით.

ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა, გავაუმჯობესოთ მთელი სავაჭრო ქსელის მუშაობა, მუდამ გვახსოვდეს ამხანაგი სტალინის მითითება: „საბჭოთა ვაჭრობა ჩვენი, საკუთარი, ბოლშევიკური საქმეა, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, მათ შორის დახლის მუშაკები, თუ ისინი პატიოსნად მუშაობენ, — ჩვენი, რევოლუციური, ბოლშევიკური საქმის გამტარებლები არიან“.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახანძრო დაცვის ორგანიზაციის დღიდან 30 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში:

1. ანდღულაძე გიორგი ილიას-ძე,
2. ბაქრაძე შოთა მიხეილის-ძე,
3. გელიაზაროვი პავლე ივანეს-ძე,
4. დოლონაძე ვალენტინა იოსების ასული,
5. ვალიშვილი არსენ ილიას-ძე,
6. ვინოკუროვი ვასილ გიორგის-ძე,
7. კონონოვი პეტრე სიმონის-ძე,
8. კოპლატაძე ვალერიან ტარიელის-ძე,
9. მალადურაძე დიმიტრი კონსტანტინეს-ძე,
10. მარტინოვი მიხეილ გაბრიელის-ძე,
11. მიქაუტაძე გიორგი გრამიტონის-ძე,
12. ნარჩომაშვილი ვარლამ სიმონის-ძე,
13. ოქროპირიძე დურსუნ მამუდის-ძე,
14. პაჭკორია ერი ანტონის-ძე,
15. პოტულოვა ტატიანა ვასილის ასული,
16. როგავა კონსტანტინე მალხაზის-ძე,
17. შარაშიძე გერმანე გიორგის-ძე,
18. ჩიხერია კასიანე ლუკას-ძე,
19. ჩიგილაშვილი გიორგი ერმინეს-ძე,
20. ხემსუროვი დანიელ შალუმის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1948 წლის 16 აპრილი. ქ. თბილისი.

გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მრეწველობის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის!

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეების მიმართვა საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის მუშებისა და სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, „საქართველოს ჩაის“ მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, რომლებმაც განვიხილეთ ჩაის მრეწველობაში 1947 წლის მუშაობის შედეგები და 1948 წელს დასახული ამოცანები, სიხარულით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შეიქმნა და ფართოდ განვითარდა ჩაის მეურნეობა. ჩაის პლანტაციების გადიდებასთან ერთად გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. ეს იმის შედეგია, რომ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი დაუღალავად ზრუნავენ საქართველოში სუბტროპიკული მეურნეობის ფართოდ განვითარებისათვის.

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითებების განხორციელებითა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სისტემატური ხელმძღვანელობით ჩაის მეურნეობა გადაიქცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად. შექმნილია ჩაის მძლავრი მრეწველობა. ამჟამად რამდენიმე ათეული ჩაის ფაბრიკა საბჭოთა კავშირის ხალხს აწვდის მაღალი ხარისხის პროდუქციას. თუ 1921 წელს საქართველოში ჩაის მხოლოდ სამი პრიმიტიული ფაბრიკა იყო, 1947 წელს ჩვენ გვქონდა მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული 40 ჩაის ფაბრიკა. შენდება და უახლოესი სამი წლის განმავლობაში ამუშავდება კიდევ შვიდი ახალი მძლავრი ჩაის ფაბრიკა.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან პირნათლად შეასრულეს ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრი ვალდებულებანი და დიდი მიღწევები მოიპოვეს ჩაის მეურნეობის დარგში. 11 მოწინავე მეჩაიეს, რომლებმაც უხვი მოსავალი მოიყვანეს, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

ჩაის მრეწველობის მუშაკებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად უზრუნველჰყვეს ჩაის მრეწველობის 1947 წლის გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება, გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მისცეს 1.069 ტონა ბაიხის ჩაი, მათ შორის 316 ტონა უმაღლესი ხარისხისა და 635 ტონა მწვანე აგურა ჩაი.

საწარმოო გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ:

ნატანების ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა 134,6 პროცენტით, პროდუქციის გამომუშავებისა—130,8 პროცენტით, უცვლელი ფასებისა—140,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა—120,8 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 1.246 ათასი მანეთის ეკონომიას;

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა 130,6 პროცენტით, პროდუქციის გამომუშავებისა—130 პროცენტით, უცვლელი ფასებისა — 152,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 161,8 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 1.362 ათასი მანეთის ეკონომიას;

ზუგდიდის პირველი ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა 118,4 პროცენტით, პროდუქციის გამოშვებისა—118,6 პროცენტით, უცვლელი ფასებისა—132,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 145,7 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 2.219 ათასი მანეთის ეკონომიას;

წულუკიძის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა 116,8 პროცენტით, პროდუქციის გამოშვებისა—119,6 პროცენტით, უცვლელი ფასებისა—125,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა—102,1 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 1.513 ათასი მანეთის ეკონომიას;

დიდიჯიხაიშის მეორე ჩაის ფაბრიკა, რომელმაც ფოთლის დამზადების გეგმა შეასრულა 112,2 პროცენტით, პროდუქციის გამოშვებისა — 122,6 პროცენტით, უცვლელი ფასებისა—127,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 114 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 1.146 ათასი მანეთის ეკონომიას;

ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომელმაც აგურა ჩაის გამოშვების გეგმა შეასრულა 135,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა—144 პროცენტით და თვითღირებულების შემცირებით მიაღწია 1.457 ათასი მანეთის ეკონომიას;

ავჭალის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, რომელმაც ჩაის მზა ნაწარმის გეგმა შეასრულა 125,5 პროცენტით, უცვლელი ფასებისა—131,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა—119,5 პროცენტით და გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცა 3.465 ათასი მანეთი დაგროვება.

გეგმის შესრულებაში საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკას, აჩიგვარის, აცანის, ნასაკირალის, უშაფათის, მახარაძის, ბათუმის და სუფსის ჩაის ფაბრიკებს.

„საქართველოს ჩაის“ მრეწველობას ჰყავს მრავალი სტახანოველი, რომლებიც დიდი გადამეტებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ასეთებია მუშები: თეკლე გვარჯალაძე, ოლღა ყურაშვილი, ნადეჟდა ფულარია, ფროსია ხილაბოკი, ქენია კვარაცხელია, ოსტატები: ბორის კობახიძე, შოთა ჭოხონელიძე და მრავალი სხვა.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს ჩვენს წინაშე კიდევ უფრო სერიოზული და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ჩაის მრეწველობის ყველა მუშაკმა კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა, მთელი მონდომებით იბრძოლოს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

მოწინავე მეჩაიეთა 1948 წლის იანვრის რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა თავის მიმართვაში პირობა დასდეს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ მოსავლის აღების გეგმები. ეჭვი არ არის, რომ ჩაის რაიონების კოლმეურნენი და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაის ფაბრიკებს გეგმის გადამეტებით დიდი რაოდენობით ჩაბარდება ნედლეული.

ჩაის მრეწველობის მუშაკთა მოვალეობაა, ისე მოაწყონ მუშაობა, რომ უზრუნველჰყონ მწვანე ჩაის ფოთლის შეუფერხებელი მიღება და მისი დროული და ხარისხიანი გადამუშავება, რათა საბჭოთა ხალხს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის მზა პროდუქცია.

მხურვალე პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულნი, ჩვენ, ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეები, საქართველოს მოწინავე მეჩაიეებთან ერთად ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში 1948 წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მთავრობის მიერ 1948 წლისათვის დამტკიცებული ჩაის პროდუქციის გამოშვების გეგმა შევასრულოთ ვადაზე ადრე, 1 დეკემბრისათვის; ნედლეულის დაზოგვით და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებით სახელმწიფოს 1948 წელს გეგმის ზევით მივცეთ 150 ტონა ბაიხის ჩაი, 100 ტონა მწვანე აგურა ჩაი და 100 ტონა შეფუთული ჩაი.

2. პირველადი დამუშავების მაღალხარისხოვანი ჩაის გამოშვების ომამდელ დონეს გადავაჭარბოთ 9 პროცენტით, აქედან ბაიხის ჩაის უმაღლესი ხარისხის დონეს—153,6 პროცენტით, განწონილი ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების დონეს—78 პროცენტით.

3. უზრუნველვყოთ ჩაის მწვანე ფოთლის მიღებისას დამზადების წესების ზუსტად დაცვა, მწვანე ფოთლის დროული გადაზიდვა და გადამუშავება მოწინავე ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვით. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მიღებული ფოთლის ხარისხის თუნდაც ოდნავი გაუარესება.

4. ნედლეულის მომჭირნეობითა და დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებით, აგრეთვე ჩაის მრეწველობაში რაციონალურ ღონისძიებათა და ახალ გამოგონებათა ფართოდ დანერგვით მივაღწიოთ წარმოებაში ბაიხის ჩაის ნედლეულის ხარჯვის მოქმედი ნორმის საგრძნობ შემცირებას და პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას; უზრუნველვყოთ ავჭალის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში ბაიხის ჩაის განწონვისას დანაკარგის შემცირება გეგმით გათვალისწინებული 0,75 პროცენტიდან 0,3 პროცენტამდე; შევამციროთ წარმოებაში მწვანე აგურა ჩაის ნედლეულის ხარჯვის ნორმა მზა პროდუქციის ერთეულზე 0,98-დან 0,97 კილოგრამამდე.

5. გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება გასულ წელთან შედარებით 8 პროცენტით, ხოლო 1948 წლის გეგმასთან შედარებით—1,4 პროცენტით.

6. სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირებით დავზოგოთ 300 ტონა სათბობი და 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

7. უზრუნველვყოთ პროდუქციის შეფუთვის მაღალი ხარისხი და გადამწონი ფაბრიკებისათვის ჩაის დროულად გაგზავნა.

8. ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ეკონომიით, შრომის ნაყოფიერების ზრდითა და სახელმწიფო სახსრების დაზოგვით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება 6 მილიონი მანეთით და ეს თანხა მთლიანად გადავცეთ სახელმწიფო ბიუჯეტს გეგმის ზევით.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭიროა სისტემატური, ბეჯითი და დაუღალავი მუშაობა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება, მოწინავე სტახანოველთა გამოცდილების დანერგვა, იმის მიღწევა, რომ თვითეული ჩვენი საწარმო მუშაობდეს რიტმიულად და სანიმუშო სისუფთავის დაცვით.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი!

მოგიწოდებთ ამხანაგებო, ფართოდ გააჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1948 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. მოვაწყოთ ნაკისრ ვალდებულებათა სისტემატური შემოწმება და საქმით ვიბრძოლოთ მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოსაშვებად.

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

მიმართვა განხილული და მიღებულია საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

აპრილის პირველი დეკადის შედეგები

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა

აპრილის პირველ დეკადაში ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველები კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ, ვიდრე მარტში.

ლითონმჭრელებს შორის პირველობას ინარჩუნებს ს. ესკინი. მან აპრილის პირველი დეკადის დავალება 500 პროცენტით გაანაღდა, ხ. სუხოვმა დეკადური გეგმა შეასრულა 400 პროცენტით, ნ. წიქორიძემ—350 პროცენტით, ა. გრანოვამ—200 პროცენტით.

მონტიორებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვს გ. პეტროსიანს, რომელმაც დეკადური დავალება 437 პროცენტით შეასრულა, ხოლო მღარავებს შორის დეკადური გეგმის შესრულებაში დაწინაურდა ლ. გოქსაძე (10 დღის გეგმა 450 პროცენტით გაანაღდა).

ხარატებს შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია ვ. ამირგულოვმა (437 პროც.), მეორე და მესამე ადგილი გაინაწილეს ძმებმა ბ. გორამ (370 პროც.) და ე. გორამ (310 პროც.).

ზეინკლებიდან გამოირჩნენ გ. სტეფანოვმა და ს. კარაკოზოვმა, რომელთაც დეკადური [illegible] დავალება 380 პროცენტით გაანაღდა. ზეინკალმა [illegible] 300 პროცენტით შეასრულა და მესამე ადგილი დაიკავა.

მჭედლებს შორის პირველ დეკადაში პირველ ადგილზეა ნ. ბორზუჩენკო (302 პროც.), მეორე ადგილზე ი. [illegible]როვჩენკო — 256 პროც., ხოლო მესამეზე — ა. რომელაშვილი (225 პროცენტი).

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა

საწარმოო შეჯიბრებაში მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წამყვანი პროფესიების სტახანოველები: მქსოველები [illegible], ე. ურთაშვილი, ზ. სემიონოვა, ნ. ტაშილოვა, [illegible]შიძე, გ. მელქაძე; მემასრეები ნ. ლაჩაშვილი, [illegible]შვილი; მხვეველები შ. მამედოვა, ტ. ძაბირაძე [illegible].

მქსოველებს შორის ყველას გაუსწრეს [illegible], რომლის საწარმოო მაჩვენებელია 191,5 პროცენტი, მეორისა—190,5. მრავალდაზგოსნებმა ე. ურთაშვილმა და მ. რიბაკმა დეკადური გეგმები 181,8 პროცენტით შეასრულეს, ზ. სემიონოვამ—165,1 პროცენტით, მქსოველ ლ. მიშრიაკოვას საწარმოო მაჩვენებელია 168,9 პროცენტი, თ. კოპალეიშვილისა—161,8, ნ. კენჭოშვილისა—153,5, ხოლო ნ. პოდრუშნიაკისა—143,6 პროცენტი.

მქსელავებს შორის პირველ დეკადაში ყველას გაუსწრო მ. გუბიევამ, რომელმაც დავალება 198,5 პროცენტით გაანაღდა. მქსელავმა მ. გოქსაძემ გეგმა შეასრულა 190,3 პროცენტით, ნ. ბარათაშვილმა—185, ა. არეშიძემ — 180,4, ხოლო ე. ალექსანდროვამ—165,1 პროცენტით.

მხვეველებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს შ. მამედოვას (144,2 პროცენტი); ტ. ძაბირაძემ და ქ. ტარუსინამ დავალებანი 135,5 პროცენტით გაანაღდეს, გ. ბადლიძემ—130,1 პროცენტით.

მემასრე ნ. ლაჩაშვილმა ათდღიური გეგმა 185,7 პროცენტით შეასრულა. ტ. სტეპანიანის საწარმოო მაჩვენებელია 175,4 პროცენტი, ე. სულხანიშვილისა—170, ხოლო ს. ამბროსოვასი—158,3 პროცენტი.

მგრეხავებიდან დეკადური გეგმის შესრულებაში ყველაზე უფრო დაწინაურდა ო. ლამბაშიძე, რომელმაც გეგმა 203,8 პროცენტით გაანაღდა. მგრეხავმა გ. მელქაძემ გეგმა შეასრულა 186,4 პროცენტით.

მეორე სამკერვალო ფაბრიკა

აპრილიდან პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშები, რომლებიც ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მოწინავე მკერავების მოწოდებას საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის, ხარისხის გაუმჯობესებისა და მომხმარებლებისათვის ტანსაცმლის უკეთესად შეკერვის შესახებ.

მემოტორე მკერავებს შორის აპრილის პირველ დეკადაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა ა. ბეგლაროვამ (ა. ცანავას აგრეგატი), რომელმაც გეგმა 337,8 პროცენტით შეასრულა. მემოტორეთა შორის მეორე საფაბრიკო ადგილი მოიპოვა რ. გეთაშვილმა, რომელმაც გეგმა 240,3 პროცენტით გაანაღდა.

საკოსტუმო საამქროში მომუშავეთა შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ე. გოგობერიშვილს (176,7 პროც.) და ა. ხახელაშვილს (148,2 პროცენტი).

ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობა

25 წლის წინათ, 1923 წლის 17 აპრილს გაიხსნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობა, რომელიც 25 აპრილამდე მიმდინარეობდა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს იყო პირველი ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა ლენინი მძიმე ავადმყოფობის გამო. ყრილობამ განიხილა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და სამეურნეო საკითხები, მოგვცა განვლილ წლებში ჩატარებული მუშაობის შეფასება და განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი განვითარების გეზი.

ცნობილია, რომ ლენინს ავადმყოფობის დროსაც არ შეუწყვეტია მუშაობა. თავის უკანასკნელ სტატიებში: „კოოპერაციის შესახებ", „როგორ გარდავქმნათ მუშგლეხინი", „უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგი" განვლილი მუშაობის შეჯამების, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი წლების გამოცდილების გათვალისწინებით ლენინმა დაგვისახა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმა.

ლენინის კოოპერაციული გეგმა ითვალისწინებდა სოციალიზმის მშენებლობაში გლეხობის ჩაბმას. იგი სახავდა წვრილ გლეხურ მეურნეობათა მსხვილ ამხანაგურ საწარმოო გაერთიანებებზე, კოლმეურნეობებზე გადასვლის გზას. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გლეხთა კოოპერირებას და გვასწავლიდა, რომ სოფლის მეურნეობა უნდა წარიმართოს კოოპერაციის მეშვეობით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა ჩაბმის გზით, ჯერ გასაღების, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დარგში კოლექტივიზმის თანდათანობით დანერგვის გზით.

ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მრეწველობის არსებობის პირობებში, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის არსებული კავშირის პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი გლეხობის მიმართ, სწორად მოწყობილი საწარმოო კოოპერაციის საშუალებით შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება.

თავის ცნობილ სტატიაში — „უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგი" ლენინი მიუთითებდა დაგროვების შინაგან წყაროებზე, მეურნეობაში მაქსიმალური ეკონომიით მიღებული დანაზოგებით მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარებაზე. ამ ამოცანებს იგი უკავშირებდა იმის აუცილებლობას, რომ შენარჩუნებულ იქნას მუშათა კლასის ხელმძღვანელობა გლეხობისადმი, შესაძლებლობას, რომ გადავჯდეთ გლეხური გაძვალტყავებული ცხენიდან, გალატაკებული გლეხური ქვეყნისათვის ნავარაუდევი ეკონომიის ცხენიდან, მსხვილი ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ცხენზე.

ლენინის მითითებათა ნიშნით, პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გაძლიერების, სახალხო მეურნეობაში გეგმიანობის დანერგვის, ხალხის მტრებთან გამანადგურებელი ბრძოლის ნიშნით ჩატარდა ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომში რუსეთის კომპარტიის წარმომადგენლობის ანგარიშები და მოხსენებანი: მრეწველობის, ნაციონალური საკითხის, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, სოფლად საგადასახადო პოლიტიკისა და სხვა საკითხებზე. ამრიგად, ყრილობამ იმ პერიოდის მეტად აქტუალური საკითხები განიხილა. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზაზე მდგომი საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო პოზიციის განმტკიცება თვალსაჩინო გახდა. თუ პარტიის X ყრილობიდან XI ყრილობამდე განვლილი წელი დროებითი უკანდახევის, მთავარი ძალების თავის ბაზასთან დაახლოების წელი იყო, XI ყრილობიდან XII ყრილობამდე განვლილი ერთი წელი ქვეყნის სამეურნეო წინსვლის თვალსაჩინო პერიოდს წარმოადგენდა. მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, ტრანსპორტმა აღდგენა იწყეს.

პარტიის XII ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო სახელმწიფო მრეწველობის საკითხს. ყრილობამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება მრეწველობის განვითარების შესახებ, რომელშიც ჩაწერილია: „მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის და მძიმე ინდუსტრიის,—პროლეტარიატის დიქტატურის ამ ერთად-ერთი მტკიცე ბაზის — ნამდვილ წარმატებათა საფუძველზე, აგრეთვე ელექტროფიკაციის სამუშაოების რეალური დამთავრების მოახლოების საფუძველზე არის შესაძლებელი და გარდუვალი სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონის შეცვლა ქვეყნის მთელ ეკონომიკაში და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება სოფლის მეურნეობიდან მრეწველობისაკენ". ასე განსაზღვრა XII ყრილობამ სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ადგილი, პარტიის უახლოესი ამოცანები.

ყრილობაზე გამოირკვა, რომ საწარმოები არ იყო უზრუნველყოფილი მოწყობილობით, არ იყო რაციონალიზაცია, გეგმიანი მუშაობა, რომელსაც მოსდევდა შრომის დაბალი ნაყოფიერება, ზედმეტი ხარჯები, და გადაუდებელ ამოცანად დასახა წარმოებაში გეგმიანობის დანერგვა. ყრილობამ ყურადღება მიაქცია სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასებთან მათი დაახლოების აუცილებლობას, სამრეწველო საქონლის გასაღების გაადვილების, ქალაქისა და სოფლის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცების, მათ შორის საქონელბრუნვის განვითარების საკითხებს.

ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობამ გამანადგურებელი პასუხი გასცა სოციალისტური მშენებლობის დაუძინებელ მტრებს, ხალხის ორგულებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ყრილობამდე გააჩაღეს ბრძოლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მუშათა და გლეხთა კავშირის წინააღმდეგ. პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა იმათ, ვისაც არ ესმოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მას მხოლოდ სოციალისტური პოზიციებიდან უკანდახევად, კაპიტალიზმისადმი დათმობად სთვლიდა. ტროცკისტები ყრილობაზე მოითხოვდნენ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამრეწველო დარგების უცხოელი კაპიტალისტებისათვის საკონცესიოდ გადაცემას, მეფის იმ ვალების გადახდას, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის შედეგად გაუქმებულ იქნა, ქადაგებდნენ არახელსაყრელ პირობებში მიგვეღო სესხი უცხოელი კაპიტალისტებისაგან. თავის მხრივ ბუხარინი და სოკოლნიკოვი მოითხოვდნენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას, რაც გამოიწვევდა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განადგურებას. ჯერ კიდევ ყრილობამდე ლენინი ჰგმობდა ბუხარინის შეხედულებას, რომელიც კულაკების, ნეპმანებისა და სპეკულანტების მისწრაფებებს გამოხატავდა. თვალთმაქცი ტროცკი ცდილობდა პარტიისათვის თავს მოეხვია გლეხობისადმი არასწორი დამოკიდებულების პოლიტიკა, იგი მოითხოვდა მრეწველობის განვითარებას გლეხური მეურნეობის ექსპლოატაციის საფუძველზე. ეს აშკარა დაღუპვას უქადდა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს, გამოიწვევდა განხეთქილებას სოფელსა და ქალაქს შორის და ამიტომ საფრთხეს წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურისათვისაც.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ყრილობამ დაჰგმო ყველა ჯურის თვალთმაქცთა ზემოაღნიშნული შეხედულებანი და გამანადგურებელი პასუხი გასცა მათ ცდას აეცდინათ პარტია სწორი გზიდან.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების საკითხს, მოითხოვა, რომ პარტია არ დაკმაყოფილებულიყო მარტო მუშაკების განაწილებით, არამედ უფრო ახლო ყოფილიყო მეურნეობასთან, მეტი ხელმძღვანელობა გაეწია სამეურნეო ორგანოებისათვის, წარემართა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკური და კულტურული მუშაობა.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ნაციონალურ საკითხს. ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა ნაციონალურ საკითხში პარტიის პოლიტიკის საერთაშორისო მნიშვნელობა და დასახა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის სამეურნეო და კულტურული უთანაბრობის ლიკვიდაციის ღონისძიებანი. „ბრძოლა ეროვნებათა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციისათვის, ბრძოლა ჩამორჩენილ ხალხთა კულტურული და სამეურნეო დონის ამაღლებისათვის ჩვენი პარტიის მეორე (მორიგი) ამოცანაა",—სწერდა ამხანაგი სტალინი პარტიის XII ყრილობის მოხსენების თეზისებში.

დიდმა სტალინმა ყრილობას მოუწოდა გადამწყვეტი ბრძოლისაკენ ნაციონალურ საკითხში არსებულ გადახრებთან — როგორც ველიკორუსული შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ყრილობაზე მხილებულ იქნენ ქართველი უკლონისტები, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, ხელს უშლიდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ლენინმა, რომელიც ავადმყოფობის გამო ყრილობას ვერ ესწრებოდა, წერილობითი წინადადება გაუგზავნა ყრილობას. ამ წინადადების საფუძველზე შეიქმნა გაერთიანებული ორგანო—საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი. ამ ორგანომ დიდი როლი შეასრულა პარტიის ერთიანობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, საბჭოთა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებაში.

„ჩვენი პარტია დარჩა შეკავშირებული, შემჭიდროებული, მან გაუძლო უდიდეს შემობრუნებას და განაგრძობს წინსვლას ფართოდ გაშლილი დროშით", — განაცხადა ყრილობაზე დიდმა სტალინმა.

ბოლშევიკური პარტიის XII ყრილობამ, რომელმაც შეაჯამა ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორი წლის შედეგები, საბოლოო გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა პარტიას, საბჭოთა ხალხს.

ლენინის გზით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ბოლშევიკურმა პარტიამ გაანადგურა ხალხის ორგულები, რომლებიც დაბრკოლებას უქმნიდნენ ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას, და გასწია წინ, ლენინისა და სტალინის მიერ დასახული გზით. ამ გზაზე საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი— ააშენა სოციალიზმი. ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით იგი მიემართება სრული კომუნიზმისაკენ.

ე. ხუნდაძე

საბჭოთა კავშირში



ლენინგრადი. შესრულდა რუსეთში დიზელმშენებლობის 50 წლისთავი. ქარხანა „რუსკი დიზელში", სადაც წარმოიშვა მრეწველობის ეს დარგი, ამას წინათ გამოუშვეს ახალი კონსტრუქციის დიზელი. ახლა ხდება კიდევ რამდენიმე ასეთი დიზელის აწყობა. სურათზე: ახალი დიზელის საუკეთესო ამწყობი სტახანოველები. მარჯვნიდან მარცხნივ: ე. მ. კურბატოვი, ვ. ა. გრიგორიევი და დ. პ. მარტინოვი. ისინი ყველანი ყოველდღიურად რამდენიმე ნორმას ასრულებენ.

ფოტო გ. ჩერტოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ლენდ-ლიზით მიღებული 8 სავაჭრო გემი შეერთებულ შტატებს დაუბრუნდა

როგორც საბჭოთა პრესა წინათ იუწყებოდა, ლენდ-ლიზის ანგარიშსწორების მოსაწესრიგებლად ამჟამად წარმოებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის ამა წლის იანვარში მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს თებერვალ-მარტის განმავლობაში დაბრუნებოდათ 7 ტანკერი და 1 მშრალი ტვირთის გემი იმ სავაჭრო გემებიდან, რომლებიც ომის დროს საბჭოთა კავშირს ლენდ-ლიზით გადაეცა.

საქდესის მიერ ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ხსენებული 8 გემი შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებს გადაეცათ 20 თებერვლიდან 27 მარტამდე ტრიესტის, ჰონკონგისა და იოკოჰამის ნავსადგურებში. (საქდესი).

ქვანახშირის ფენების დამუშავების ახალი სისტემა

პროკოპიევსკი (კემეროვოს ოლქი), 7 აპრილი. (საქდესი). კუზნეცკის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ინჟინერმა ბ. მ. სკორიმ ქვანახშირის ფენების დამუშავების ახალი სისტემა შემოიღო. ეს სისტემა მოხერხებულად სწყვეტს ქვანახშირის ფენა-ფენად ამოღების ამოცანას, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ფენის სიმძლავრე და ვარდნის კუთხე. ამ სისტემით თავიდან აცილებულია ყოველგვარი საფრთხე მუშაობის დროს. გარდა ამისა, ადვილად ხორციელდება მუშაობის მრავალსანგრევიანი მეთოდი. ეს ქვანახშირის ამოღებაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოსამზადებელ სამუშაოთა მოცულობა სანგრევში 40 პროცენტით მცირდება, ხოლო შრომის ნაყოფიერება რამდენჯერმე მატულობს.

ინჟინერ სკორის ხერხი იმის საშუალებას იძლევა, რომ სანგრევში გამოყენებულ იქნას ქვანახშირის მონგრევის მექანიზაციის ყოველი სახე, მათ შორის კომბაინურიც. ახალი სისტემა გამოყენებულია შახტ „ტირგანსკი უკლონში" და კარგ შედეგს იძლევა.

სასკოლო სახელმძღვანელოების გაყიდვა

რსფსრ განათლების სამინისტრომ, „კოგიზმა" და „ცენტროსოიუზმა" გადასწყვიტეს მოაწესრიგონ სასკოლო სახელმძღვანელოების გაყიდვა. ახალი წიგნების გავრცელება, ნახმარი წიგნების შესყიდვა და გაყიდვა დაეკისრა „კოგიზისა" და „ცენტროსოიუზის" წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებს, ხოლო სოფლად სკოლებსაც. მტკიცე კონტროლი წესდება სახელმძღვანელოების დროულად მიწოდებისადმი.

სკოლების დირექტორებს წინადადება მიეცათ შექმნან სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდი, საიდანაც მოსწავლეთ წიგნები მიეცემათ დროებით სახმარად.

რუსეთის ფედერაციის ყველა სკოლაში იხსნება კიოსკი, სადაც, სახელმძღვანელოებს გარდა, სასკოლო ნივთები გაიყიდება. (საქდესი).

უპასუხისმგებლოდ შედგენილი ტერმინოლოგია

(„ეკონომიკის ტერმინოლოგიის" გამო)

1947 წელს გამოქვეყნდა პროფესორ პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის მიერ შედგენილი „ეკონომიკის ტერმინოლოგია". თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ტერმინოლოგია, ზუსტად დადგენილი და სისტემატიზებული, დღემდე არ მოგვეპოვება, ხსენებული შრომის გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მიგვეჩნია და მისასალმებელი იქნებოდა, რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი რომ იყოს და ლექსიკოგრაფიის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იდგეს.

ეკონომიკის ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას ჩვენში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველი და ახალი ქართული მწერლობის ძეგლებში უხვადაა გაბნეული ტერმინები, რომლებიც ზედმიწევნით გამოხატავენ ეკონომიურ მეცნიერებათა ცალკეული კატეგორიების ცნებებს. სხვა მრავალ ძეგლზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი გვაძლევს უძვირფასეს მასალას. სოციალური და ეკონომიკური ტერმინოლოგიის დასამუშავებლად და დასადგენად უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ეკონომიურ მეცნიერებათა ქართული ტერმინოლოგიის დამუშავებისა და შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ი. სტალინისა და ა. წულუკიძის ეკონომიურ-პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომებმა, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის ტერმინოლოგიის საფუძველს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადმოთარგმნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ეკონომიური ხასიათის ძირითადი შრომები, აგრეთვე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა ზოგიერთი მთავარი თხზულება, რამაც, ცხადია, დიდად შეუწყო ხელი სათანადო ტერმინების ქართულად გადმოღებასა და დადგენას.

ბოლოს, გამოიცა რამდენიმე ლექსიკონი, სადაც ბლომადაა მოცემული ეკონომიკის ტერმინები.

ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ასეთი ტრადიციის შემდეგ, უნდა ითქვას, თავმდაბლობად ვერ ჩაეთვლებათ ტერმინოლოგიის შემდგენლებს იმის განცხადება, თითქოს „ეკონომიკის ტერმინოლოგია" წარმოადგენს ქართულ ენაზე ეკონომიკის ტერმინთა დადგენის „პირველ ცდას", თითქოს „პირველი მარაგი ტერმინებისა დაგროვდა და დამუშავდა" ეკონომიკის მეცნიერებათა კაბინეტში. ეს ახირებული, უსაფუძვლო დაჩემებაა.

ეკონომიკის ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში პირველობისა და ორიგინალობის პრეტენზიას თავი რომ დავანებოთ, ისიც დიდი საქმე იქნებოდა, „ტერმინოლოგიის" შემდგენლებს ქართულ მწერლობაში უკვე არსებული სათანადო ტერმინები რომ შეეკრიბათ და შეძლებისამებრ დაეზუსტებინათ, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა.

წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „...შიგ („ეკონომიკის ტერმინოლოგიაში") შეტანილია ეკონომიკის ყველა დარგის ტერმინები, აგრეთვე ეკონომიკის მომიჯნავე დარგებისაც იმდენად, რამდენადაც ეს (?) ეკონომიკაში იხმარება". ეს მტკიცება მართალი არ არის.

წიგნი გადატვირთულია ისეთი სიტყვებით, რომლებსაც არც ეკონომიკასთან, არც მის მომიჯნავე დარგებთან დამოკიდებულება არა აქვთ. ასეთია, მაგალითად, აბორდაჟი, აბსურდი, ავანგარდი, ავანპოსტი, ადმინისტრაციული იუსტიცია, ადმინისტრაციული გამოსახლება, ავანტიურა, ავანტიურიზმი, ავანტიურისტი, ანგაჟემენტი, ატაშე, ატამანი, აფერისტი, აფიორა, ბალაგანი, ბასმაჩობა, ბასმაჩები, ბრამანიზმი, ბუდიზმი და უამრავი სხვა. შეიძლება ითქვას, „ტერმინოლოგიის" მესამედი ნაწილი ამგვარი და მსგავსი სიტყვებისაგან შესდგება. ეკონომიურ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ყოველნაირი სიტყვა, თუგინდ ვარდი, ია და მისთანები, მაგრამ ეს ეკონომიკის ტერმინები არ არის.

სხვადასხვა ლექსიკონიდან სიტყვების უთავბოლოდ ჩაყრა ეკონომიკის ტერმინოლოგიაში იოლი საქმეა, მაგრამ ეს ეკონომიკის ტერმინების დაგროვებად და მეცნიერულ დადგენად ვერ ჩაითვლება. აქვე დავძენთ, „ეკონომიკის ტერმინოლოგიაში" იმდენი უცხო სიტყვაა შეტანილი, რომ მათ გასაგებად საჭიროა კიდევ უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

ლექსიკონში შეტანილი არ არის ეკონომიურ მეცნიერებათა ბევრი ტერმინი. ჩვენ იქ ვერ ვნახეთ, მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორიცაა **„регулирующая цена", „стоимостное отношение"** (товаров) (მარქსი), **„изделный наем", „платящее потребление"** (ლენინი), **„предельная полезность", „теория экономического равновесия", „закон убывающей производительности"** და სხვ. და სხვ. ავიღოთ სიტყვა კომუნიზმი. ლექსიკონში შეტანილია „აგრარული", „სამხედრო", „პირველყოფილი", „მოხმარებითი", „უტოპიური კომუნიზმი", მაგრამ არ არის შეტანილი „მეცნიერული კომუნიზმი".

„ეკონომიკის ტერმინოლოგიაში" რამდენადმე სრული გამოხატულება ვერ ჰპოვა საბჭოთა სინამდვილემ, მისმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ცხოვრებამ. მასში შეტანილი არ არის, მაგალითად, ისეთი ტერმინები, როგორიცაა „სოციალისტური წყობილება", „სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა", „მეურნეობის სოციალისტური სისტემა", „სოციალისტური რეპროდუქცია", „ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდი", „სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა", „შრომითი გმირობა", „შრომითი მამაცობა" და მრავალი სხვა.

რაც შეეხება მრეწველობის სხვადასხვა დარგს, მრეწველობის პროდუქციას, პროფესიებს, ამ მხრივ „ეკონომიკის ტერმინოლოგიაში" იმდენი ხარვეზია, რომ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, „ტერმინოლოგიაში" შეტანილი არ არის „ფოლადსამსხმელო მრეწველობა", „ფოლადი", „მეფოლადე", „თუჯის მრეწველობა", „მემანქანე", „მბურღავი", „კალატოზი" და სხვ. იქნებ ყოველივე ამის მოთავსება ლექსიკონის შემდგენლებმა ზედმეტად მიიჩნიეს და ამჯობინეს შეეტანათ, ვთქვათ, „ამსტერდამის ბანკის ფული". საკითხავია, რას უნდა შეიცავდეს ეკონომიკის ტერმინოლოგია ჩვენს პირობებში, თუ არ უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სინამდვილის ამსახველ ტერმინებს?

წიგნში მრავალი საჭირო ტერმინი ხომ არ არის მოცემული, მაგრამ რაც მოცემულია, ისიც ბევრ შემთხვევაში მცდარად და დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. ასე: მაგალითად, სიტყვა **„Прогул"** როგორც ვიცით, არის გაცდენა. ასე იხმარება საუბარში, პრესაში, კანონმდებლობაში. ტერმინოლოგიის შემდგენლებს კი „გასეირნება" შემოუღიათ. მართალია, „შემჩნეული შეცდომების გასწორებაში" გაცდენა ვითომ აღუდგენიათ, ვამბობთ—ვითომ, რადგან მხოლოდ ერთ ადგილასაა გასწორებული. **„Прогульные дни"** ისევ გადმოცემულია, როგორც „ნასეირნები დღეები". ტერმინოლოგიის ქართულ ნაწილში კვლავ დატოვებულია „გასეირნება", „განასეირნები" და სხვა. სიტყვა **„Прогульщик"** სულ გამოტოვებულია, ალბათ „მოსეირნე" თუ „გამსეირნებელი" უხერხულად მიუჩნევიათ.

ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, როგორ ითარგმნება სიტყვა **„Площадь"** როცა იგი ეკონომიკის ტერმინიცაა. ეს არ აღმოჩნდა, მაგრამ ვნახეთ **„Хлебная площадь"**—პურის მოედანი. რა არის პურის მოედანი? თუ არ ვცდებით, ასე იწოდებოდა თბილისის ერთ-ერთი მოედანი. ან, იქნებ, პურეულის ფართობი იგულისხმება? **„Баланс материальный"** — მასალის ბალანსი. ეს ცნების აშკარად დამახინჯებაა: უნდა იყოს მატერიალური ბალანსი. **„Инфляция золотая"** — ოქროს ინფლაცია. საიდან გაჩნდა ეს ცნება—ოქროს ინფლაცია, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიური მეცნიერებისათვის ოქროს ინფლაცია დღემდე უცნობი იყო. მისი აღმოჩენის პატივი მთლიანად ეკუთვნით ტერმინოლოგიის შემდგენლებს. **„Инфляция червонная"** —ჩერვონეცის ინფლაცია. აქ დაშვებული სერიოზული შეცდომა, ვფიქრობთ, განმარტებას არ საჭიროებს. ერთ ადგილას უცნაურ რამეს წავაწყდით: **„Аренда санашено"**. სანაშენო რუსული სიტყვა ხომ არ ჰგონიათ ტერმინოლოგიის შემდგენლებს? **„Отлив металла"**— ლითონის მიქცევა. კურიოზია: უნდა იყოს ჩამოსხმა. ერთმანეთშია არეული სამართალი და უფლება: **„Трудовое право"** არის შრომის სამართალი, და არა უფლება, **„Право на труд"** არის შრომის უფლება. **„Вещественная улика", „Вещественное богатство"** —ნივთიერებრივი მხილება, ნივთიერებრივი სიმდიდრე — შეცდომაა. ნივთიერებრივი ფიზიკურ-ქიმიური ცნებაა, აქ კი ეს სიტყვა ნივთის მნიშვნელობით იხმარება.

ტერმინოლოგიაში ვხვდებით სიტყვასიტყვით თარგმანს, რაც ხშირად გაუგებრობას და ორაზროვნობას იწვევს. მაგალითად, **„Бросовая цена"** — გადასაყარი ფასი. უაზრობაა. ასევე არ ვარგა, ცხადია, „გადასაყარი ექსპორტი", „გადასაყარი საქონელი", თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში უვარგისს არ ნიშნავს. **„Беспроцентный заем"** უსარგებლო სესხი. მართალია, პროცენტი სარგებელია, მაგრამ უსარგებლო აზრს ამახინჯებს: **„Производительность труда"**—შრომის მწარმოებლურობა. არ გამოდის: მწარმოებლობა საქმიანობას ნიშნავს, აქ შედეგი, ნაყოფი არ სჩანს. რა უშავს, რომ დარჩეს „ნაყოფიერება", სიტყვა სავსებით გასაგები და დამკვიდრებული?

ამგვარი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

ეკონომიკის ტერმინოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი არ წარმოადგენს ერთი რომელიმე განსაზღვრული პრინციპით შედგენილ ნაშრომს. ეს განსაკუთრებით შეეხება რთული სიტყვების წარმოქმნას ზედსართავისა და არსებითი სახელების წარმოების საშუალებით. ნაშრომის წინასიტყვაობაში არათავმდაბლურად ნათქვამია, რომ ეკონომიკის ინსტიტუტის ტერმინოლოგიის კომისიამ (თავმჯდომარე პ. გუგუშვილი) „მიიღო და გაატარა პროფ. პ. გუგუშვილის მიერ XIX-XX ს. ს. ქართული სოციალ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის განვითარების შესწავლის საფუძველზე შემჩნეული ტენდენცია, სახელდობრ: ზედსართავთა წარმოქმნისას **სა**—პრეფიქსის გამოყენების შენელებისა და—**ურ** ბოლოსართის გაძლიერებისა, და ფართო გასაქანი მისცა—**ურ** (**ულ**) და—**ებრივ** წარმოებას და განსაკუთრებით გენეტივში დასმულ მსაზღვრელებს" (გვ. VI).

ჯერ-ერთი, სა-თავსართის შენელების ტენდენცია არ უნდა გავაზვიადოთ. ქართული ენის განვითარება, ძველი დროიდან დღევანდლამდე, ამის წინააღმდეგ მეტყველებს.

შემდეგ, ტერმინოლოგიის ავტორები ფიქრობენ, სა-თავსართი უმეტეს შემთხვევაში **ხაგნის დანიშნულებას** გამოხატავს (გვ. V). ამ შეხედულებას ქართული ენის პრაქტიკა არ ადასტურებს. აი თუნდაც: „სახალხო მეურნეობა", „სახალხო შემოსავალი", „სამოქალაქო ომი", „სამხედრო საქმე", „სამეცნიერო ტერმინოლოგია" (მეცნიერებათა აკადემიის „სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება"), „სალიტერატურო ენა" და მრავალი სხვა. განა აქ მარტო დანიშნულებაა გამოხატული? არა. სა-პრეფიქსი ბევრ შემთხვევაში დანიშნულების აღმნიშვნელიცაა და თვისებისაც. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ სა-თავსართის მეტისმეტად და უმართებულოდ გავრცელებას საზღვარი დაედოს ურ—ბოლოსართის სასარგებლოდ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, სად რა ვიხმაროთ. ეს დამოკიდებულია თვით სიტყვასა და კონტექსტზე. მაგალითად, დღემდე სავსებით მართებულად იხმარებოდა **საკომისიო საქონელი**, რადგან ასეთი საქონელი, სხვა არა იყოს რა, საკომისიოდ არის განკუთვნილი, ტერმინოლოგიაში კი დაუდგენიათ—**კომისიური საქონელი**, თითქოს ეს საქონელი რაიმე განსაკუთრებული თვისებისა იყოს.

„ტერმინოლოგიის" შემდგენლები სრულიად დაუმსახურებლად ისაკუთრებენ ქართულში ისეთი ზედსართავი სახელების დადგენას, როგორიცაა, მაგალითად, **წარმოებითი ურთიერთობა** ნაცვლად **საწარმოო ურთიერთობისა, წარმოების საშუალება** ნაცვლად **საწარმოო საშუალებისა, მწარმოებელი ძალები,** ნაცვლად **საწარმოო ძალებისა** (საინტერესოა, რომ წინასიტყვაობაში არის მწარმოებელი ძალები, ხოლო თვით ტერმინოლოგიაში ყველგან გვხვდება მწარმოებლური ძალები. რით აიხსნება ეს განსხვავება?). ცნობილია, რომ ზემოაღნიშნული ტერმინები შემოღებულ იქნა და მტკიცედ დამკვიდრდა ქართულში 1938 წლიდან, როცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ შეასრულა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" თარგმანი.

ენის მხრივ ტერმინოლოგიის მეორე თავისებურებაა მსაზღვრელი სახელის გადაჭარბებულად ხმარება გენეტივში. მსაზღვრელად ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება ქართულს სჩვევია. მაგრამ აქაც უკიდურესობა მხოლოდ საზიანო იქნებოდა საქმისათვის. ამ უკიდურესობას კი ვხედავთ „ტერმინოლოგიაში". რამდენიმე მაგალითი: „ბიუჯეტის დაფინანსება" ნაცვლად ბიუჯეტური დაფინანსებისა. გაუგებარია, ბიუჯეტს აფინანსებენ, თუ დაფინანსება ხდება ბიუჯეტით? „კოლონიის ბანკი"—კოლონიური თუ საკოლონიო ბანკის ნაცვლად. ლაპარაკია არა იმაზე, რომ თითქოს კოლონიას საკუთარი ბანკი აქვს, არამედ მეტროპოლიის კოლონიურ ბანკზე. ამგვარივეა „აგარაკის ქალაქი"—საგარაკო ქალაქის ნაცვლად, „ფაბრიკის თვითღირებულება"—საფაბრიკო თვითღირებულების ნაცვლად, „რევიზიის კომისია"—სარევიზიო კომისიის ნაცვლად და მრავალი სხვა. ასეთი მსაზღვრელი წინადადების აზრს აბუნდოვნებს და ხშირად გაუგებარსაც კი ხდის.

ენა რებუსი კი არ არის, არამედ აზრის ურთიერთგაზიარების საშუალებაა. ამიტომ არის, რომ თავსართისა და ბოლოსართის გზით წარმოებულ ზედსართავ სახელს ქართულში გაძლიერების ტენდენცია ემჩნევა. არ უნდა დაგვეიწყოთ, ეს ქართული ენის ბუნებას არ შეეფერება: ქართულის ბუნებას შეეფერება ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს აზრის მკაფიოდ და მარტივად გამოთქმას. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველი ენის განვითარებას.

უადგილობის გამო ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი მაგალითები მოვიყვანეთ „ტერმინოლოგიის" დეფექტების ნათელსაყოფად. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტერმინების ერთგვარობა არ არის დაცული (მუშა-ძალა—სამუშაო ძალა, მკოჭლობი ვალუტა—კოჭლი ვალუტა, ეკონომიური — ეკონომიკური ერთი და იგივე მნიშვნელობით და მრავალი სხვა), აქ დიდი არევ-დარევაა. არც იმაზე ვიტყვით რამეს, რომ „ტერმინოლოგიის" ქართული და რუსული ნაწილი ერთმანეთს ხშირად არ შეესატყვისება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სიტყვების განლაგება „ტერმინოლოგიაში" სრულიად უსისტემოა. ალფაბეტი არ არის დაცული და ამის გამო მკითხველს უძნელდება საჭირო სიტყვის პოვნა.

„ეკონომიკის ტერმინოლოგია" მისი ახლანდელი სახით დიდ დაბნეულობას გამოიწვევს. ეკონომიკის დარგში რიგიანი ტერმინოლოგიის შედგენა კი ფრიად საჭირო და გადაუდებელი საქმეა. ეს საქმე გამოცდილ და კვალიფიციურ მუშაკებს უნდა დაეკისროს.

დასასრულ ერთი გარემოება. „ეკონომიკის ტერმინოლოგია" მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ტერმინოლოგიის მარკით გამოვიდა. ამ განყოფილების მუშაობა, თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს განყოფილება მხოლოდ დასტურს აძლევდეს იმას, რასაც მიუტანენ, კრიტიკულად არ ეპყრობოდეს წარდგენილ მასალებს. ჩვენ ვიცით, რომ კარგი ტერმინების გამოძებნა (არა ისეთებისა, რა თქმა უნდა, როგორიცაა ხელოვნური, თუმცა შექებული, **„მკოჭლობი ვალუტა"**. იხ. წინასიტყვაობა), უნაკლო ლექსიკონის შედგენა უაღრესად ძნელი და რთული საქმეა. მით უფრო საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ტერმინოლოგიის მუშაობის საფუძვლიანად გაუმჯობესება*).

ი. დოლიძე

გ. კავკასიძე

*) წიგნში ბლომად გაპარულა კორექტურული შეცდომები. მაგალითად, დაბეჭდილია **„ხამოვარზე გასული"**, უნდა იყოს **„საშოვარზე გასული"** (გვ. 110) და სხვ.

სსრ კავშირის პროკურატურაში

ამ უკანასკნელ ხანს პროკურატურის ორგანოებმა გამოიძიეს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სამრეწველო საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, რომლითაც დაწესებულია სასამართლო პასუხისმგებლობა არაკეთილხარისხოვანი ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის, აგრეთვე სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვებისათვის, პროკურატურის ორგანოებმა მთელი რიგი საქმეები აღძრეს მრეწველობის სხვადასხვა დარგის, აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. მაგალითად:

არაკეთილხარისხოვანი ველოსიპედების სისტემატურად გამოშვებისათვის პასუხისგებაშია მიცემული ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გროდნოს ქარხნის მთავარი ინჟინერი **ი. ქ. ვიხოტო.** ჩადენილი დანაშაულისათვის **ვიხოტოს** მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

არასტანდარტული ქვანახშირის გაგზავნისა და დაწესებული კონდიციების დარღვევისათვის ირკუტსკის ოლქში 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს „კიროვუგოლის" ტრესტის ხრამცოვის ჭრილის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს **კომისარჩუკს** და დატვირთვის უფროსს **სუკომელს,** ხოლო 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მის მოადგილე **ხოხლოვს.**

არაკეთილხარისხოვანი ნაბდის ფეხსაცმლის გამოშვებისათვის ლენინგრადში 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ადგილობრივი მრეწველობის ფეტრსათელავი ფაბრიკის მთავარ ინჟინერს **მახნოვსკის.**

ჩკალოვის ოლქში 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ტოცკის პურსაცხობის გამგეს **სკოლზნევს,** რომელიც სისტემატურად უშვებდა არაკეთილხარისხოვან პურს.

გარდა ამისა, პასუხისგებაში არიან მიცემული: ქალაქ მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი **იაშუნინი,** ტექნიკური ხელმძღვანელი **სმირნოვა** და ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი **ნიკიტინი,** რომელთაც ბრალად ედებათ არაკეთილხარისხოვანი სამკერვალო ნაწარმის გამოშვება, აგრეთვე სხვა საწარმოთა მთელი რიგი მუშაკები.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ამხ. საფონოვმა მითითება მისცა პროკურატურის ყველა ორგანოს— ზუსტად განახორციელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება და არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის სასამართლო პასუხისგებაში მისცენ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები.

პარტიული ცხოვრება

აქტივი სწავლობს წარმოების ეკონომიკის საკითხებს

საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სერიოზულ ყურადღებას აქცევს პარტიულ-სამეურნეო აქტივის მიერ წარმოების ეკონომიკის საკითხების შესწავლას.

პარტიული აქტივის სემინარზე განხილულ იქნა ასეთი თემები: „მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ეკონომიური ამოცანები“, „ახალ ხუთწლედში მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარება“. მაღაროებსა და ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში დიდი ინტერესით ისმენენ ინჟინერ შ. პაქსაშვილის ლექციას „პროდუქციის თვითღირებულება და შრომის ნაყოფიერება წარმოების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლებია“. პოპულარობით სარგებლობს სამთო ინჟინრის მ. ბრეგვაძის ლექცია „ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების ისტორია და მისი პერსპექტივები“.

ინჟინერ-გეოლოგმა ა. გავაშელმა დასწერა ნაშრომები „ჭიათურის მარგანეცის საბადოს მადნის ფენები და მისი სამრეწველო ღირებულება“ და „მარგანეცის გამოყენება სახალხო მეურნეობაში“. ამ თემებზე ამხ. გავაშელი ლექციებს კითხულობს. პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე ტრესტის მთავარი ინჟინრის ამხ. შ. შეყლაშვილის ლექცია — „მარგანეცის რაციონალურად გამოყენება ფეროშენადნობთა ქარხნებში“, ტრესტის მთავარი გამამდიდრებლის ინჟინერ კ. ჯინჭველაშვილის ლექცია — „მარგანეცის მადნის გამდიდრების ახალი მეთოდები“, ინჟინერ გ. წიწილაშვილის ლექცია — „სამთო სამუშაოების ჩქარი მეთოდით გაყვანა“, ტრესტის მთავარი ენერგეტიკის ამხ. შ. სუმბაძის ლექცია — „ენერგეტიკა ახალ ხუთწლედში“ და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ყველა მაღაროში ჩატარდა ლექციების ციკლი ფულის რეფორმისა და თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლის შესახებ. ამავე თემას მიეძღვნა აქტივის სემინარის და საღამოს პარტიული სკოლის მეცადინეობა.

განზრახულია ახლო ხანში ჩატარდეს ინჟინერ დ. ნადირაძის ლექცია — „სამთო მოწყობილობისა და მექანიზმების გამოყენება შრომატევადი პროცესების დროს“. მოეწყობა ლექციები აგრეთვე მასალების, ელექტროენერგიის, ფინანსების მომჭირნეობით ხარჯვის, წარმოების რენტაბელობის საკითხებზე.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

პარტიის გორის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ორდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები შემდეგ საკითხებზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“, „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი“, „კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ზრუნვა პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, „პარტიულ ორგანიზაციებში ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, „ძირეული პრესა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ და სხვ.

ლექციები წაიკითხეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორებმა ქ. ოტიაშვილმა და ვ. ესაიაშვილმა, პარტიის გორის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ქელივიძემ, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. კეჩხუაშვილმა, პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ნოზაძემ, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. გ. გიგაურმა და სხვებმა.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სემინარი ახლად არჩეული მდივნებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა შეისწავლა მეორე სამკერვალო და საგალანტერიო ფაბრიკების კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა. აღმოჩნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, კომკავშირელები ნაკლებად მუშაობდნენ თავიანთი იდეური დონის ამაღლებისათვის, მოუწესრიგებელი იყო კომკავშირული მეურნეობა, სუსტად მზადდებოდა კომკავშირული კრებები. ეს საკითხი განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბიურომ საჭიროდ სცნო სემინარის ჩატარება კომკავშირული ორგანიზაციების ახლად არჩეული მდივნებისათვის.

ბიუროს დადგენილების საფუძველზე რაიკომის პარტკაბინეტში მოეწყო 3-დღიანი სემინარი, რომელიც 25 ამხანაგმა გაიარა.

სემინარზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კომკავშირული მეურნეობა, კომკავშირული კრებების მომზადება და ჩატარება, პოლიტიკური განათლების ამოცანები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს მეორე სესია

შესდგა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს მეორე სესია.

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი გ. მედოევი, მდივნად — დეპუტატი ქ. ბეგიაშვილი.

სესიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა სესიის განსახილველად შეტანილი საკითხები: 1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1948 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, 2. ორგანიზაციული საკითხები. სესიამ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე დეპუტატი ა. გ. ხარებოვი.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში მოპოვებულ წარმატებებზე.

შემოსავლის ნაწილში 1947 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 56.949.000 მანეთის ანუ 104,4 პროცენტის რაოდენობით, გასავლის ნაწილში კი 56.736.000 მანეთის ანუ 104,1 პროცენტის რაოდენობით. ამრიგად, შემოსავალმა გასავალს გადააჭარბა 213.000 მანეთის რაოდენობით.

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი, — სთქვა ამხ. ა. ხარებოვმა, — 1948 წლისათვის ითვალისწინებს 56.486.000 მანეთის დახარჯვას. ბიუჯეტის ეს რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რაც საჭიროა ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა შესასრულებლად. ბიუჯეტი ნათლად მოწმობს, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენენ მშობლიური საბჭოთა მთავრობა და სახელოვანი ბოლშევიკური პარტია მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. სახალხო ჯანმრთელობაზე დაიხარჯება 9.510.000 მანეთი; ეს თანხა 8 პროცენტით აჭარბებს გასული წლისას. განათლებაზე უნდა დაიხარჯოს 364.118.000 მანეთი. ეს თანხა 6,5 პროცენტით აჭარბებს გასული წლისას.

ამხ. ა. ხარებოვის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ხ. ცხოვრებოვის თანამოხსენება.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა კ. ხაჩიროვმა (ლენინგორის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ს. ჯიოევმა (ჯავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), გ. მიროტაძემ (საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი), გ. გაგიევმა (ზნაურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ა. ქასაბიევმა (საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე) და სხვ., სულ 15 კაცმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს ოლქის 1948 წლის ბიუჯეტის პროექტი.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა 1948 წლის ბიუჯეტი.

შემდეგ სესიამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

სესიამ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. გ. გალავანოვი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა დეპუტატი ი. დ. კულუხოვი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრეთ ოსეთის სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან სესიამ გაათავისუფლა ამხ. რ. გაბარაევი. სამმართველოს უფროსად დანიშნულ იქნა ამხ. ბ. ტეკაევი. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სესიამ გაათავისუფლა ამხ. ვ. პოკროვსკი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხ. ი. ი. ლოხოვი. სესიამ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის შემადგენლობაში შეიყვანა დეპუტატი ე. ე. ჯიოევი.

ამით დაამთავრა მუშაობა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს მეორე სესიამ.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებელი ქარხანა. [illegible]

ბრძოლა მაღალი საწარმოო კულტურისათვის

ერთთვიურის შემდეგ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა თბილისის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მაგრამ აქაც, ამ მოწინავე საწარმოში ბოლო დრომდე სისუფთავისა და წესრიგის დაცვის საქმე ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ქარხნის ტერიტორიაზე მთავარ შესასვლელ ჭიშკართანვე მიმსვლელს წინ ეღობებოდა გაუვალი ტალახი და წუმპე, ეზოში უწესრიგოდ იყო მიმობნეული ლითონის ჯართი, ბურბუშელა და ნაგავი, საამქროთა კორპუსებს ჩატეხილი ჰქონდათ ფანჯრები, ბევრგან ფანჯრის მინის ნაცვლად ფანერა ან ქაღალდი იყო აკრული.

ქარხნის ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მოწინავე სტახანოველთა წინადადებით გადასწყვიტეს ჩაეტარებინათ ერთთვიური ქარხანაში მაღალი საწარმოო კულტურის დასანერგავად. გამოჰყვეს კომისია, რომელმაც შეიმუშავა ქარხანაში სისუფთავისა და საწარმოო წესრიგის დასამყარებლად საჭირო მუშაობის პროგრამა, რომლის შესრულებასაც აქ თებერვალში შეუდგნენ. ამ ერთი თვის განმავლობაში ქარხნის ტერიტორიიდან დაგროვილი ნაგვის, ლითონის ჯართისა და ნარჩენების გაზიდვას ყოველდღიურად სამი სატვირთო ავტომობილი სჭირდებოდა.

ახლა სახალისო და სასიამოვნოა ამ ქარხანაში მისვლა. ქარხანასთან მისასვლელი გზა მოკირწყლულია, ჭიშკართან ტალახი ქვის ფილაქანმა შესცვალა, ეზო დასუფთავებულია, ირგვლივ ყვავილები, ახლად ამოსული ბალახი და ასფალტით დაფენილი სასიარულო გზებია. მშვენივრად გამოიყურებიან საამქროებიც: შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს გათბობის სისტემა, შეაკეთეს აგრეთვე მაზუთსადენები, ფანჯრებში ჩასვეს მინები, გაასუფთავეს კედლები და დაზგებთან სამუშაო ადგილები. ახლა ყველა საამქროსა და სამუშაო ადგილთან დადგმულია მოძრავი ყუთები, სადაც გროვდება ნარჩენები და ნაგავი,

ერთთვიურის ჩატარება ქარხანაში კარგა ხანია დაამთავრეს. ახლა აქ სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია. ამან გააძლიერა მუშაობის ხალისი, გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდა, რის შედეგადაც ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 20 მარტისათვის გაანაღდა. საწარმოო კულტურის მაღალ დონეზე დაყენებამ კოლექტივს გაუადვილა შრომა ახალი სახის პროდუქციის ათვისებაზეც. მაგალითად ინჟინერ აბჟანდაძის სისტემის ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანა, რომლის ასათვისებლადაც ნავარაუდევი იყო სამი თვე, აქ ერთ თვეში აითვისეს და ამ მანქანის პირველი საცდელი ეგზემპლარი ამჟამად უკვე მზად აქვთ. ასევე წარმატებით ითვისებენ აქ ინჟინერ მარდალეიშვილის სისტემის ჩაის საწნეხ ახალი კონსტრუქციის მანქანას, რომლის გამოშვებაც მანქანათმშენებლებმა საპირველმაისოდ იკისრეს.

მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვისათვის ბრძოლა, რომელიც ამ ქარხანაში თებერვლის პირველ დეკადაში დაიწყეს, გრძელდება ერთთვიურის დამთავრების შემდეგაც. დაწყებულია საქარხნო კლუბის რემონტი, საზაფხულოდ შხაპების მოწყობა მუშებისათვის, სასპორტო დარბაზის რემონტი და იქ ახალი სასპორტო ინვენტარის გამართვა.

ი. ზარიძე

როგორ გავაუმჯობესეთ ლითონსხმულის ხარისხი

ორთქლმავალთა მუშაობის ხანგრძლივობა და გარბენის ნორმების გადაჭარბება დამოკიდებულია იმ დეტალთა ხარისხზე, რომელთაგანაც ორთქლმავალია აწყობილი. ორთქლმავალთა ეგრეთ წოდებული მომუშავე დეტალების ხარისხი კი მთლიანად დამოკიდებულია ლითონსხმულის ხარისხზე. ამიტომ ლითონმსხმელების კარგ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ორთქლმავალთა რემონტის საქმეში.

შეიძლება ითქვას, რომ ლითონმსხმელებმა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვერ შევძელით მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნა. ზოგ უბანზე მიღწევები გვაქვს, მაგრამ ამ მიღწევათა განზოგადება დროულად არ ხდება. ეს გარემოება ერთგვარად აფერხებს ლითონსხმულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. იმ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ლითონსხმულის ხარისხის გაუმჯობესებაში. განსაკუთრებით ამაღლდა ჩვენთან სხმულის ხარისხი მარტის მეორე ნახევრიდან. როგორ მიაღწია ამას ჩვენმა ბრიგადამ?

ბრიგადაში სამი კაცი ვართ — კ. ბახტაძე, ა. გაბროშვილი და მე. სამივეს ზუსტად გვაქვს განაწილებული ფუნქციები და ვიცით, ვინ რა უნდა გავაკეთოთ, რომ სხმულის ხარისხი კარგი იქნეს. ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ლითონნედლეული დაბალხარისხოვანია, კოქსიც არ არის საუკეთესო, მაგრამ ამ პირობებშიც ვახერხებთ მაღალხარისხოვანი სხმულის მიღებას.

მთავარ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ლითონსამსხმელო მოდელი სუფთა იყოს. მოდელს ვამოწმებთ და წინასწარ ვასუფთავებთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად ყალიბში ჩადგმული კოპი, მაინც ატარებს ლითონში მინარევ ჰუჰყს, რომელიც ჩამოსხმულ დეტალში გადადის და შემდეგ ამ დეტალის ხარისხს აქვეითებს. ამიტომ, კოპის ნაცვლად ყალიბში ვათავსებთ მისივე ფორმის ლითონის „ცხრილს“ (ნასვრეტებიან კოპს), რომელიც ლითონში მინარევ ჰუჰყს ატარებს, ამრიგად ყალიბში მხოლოდ სუფთა ლითონი რჩება. ეს რაციონალიზატორული ღონისძიება დიდი ხანი არ არის, რაც განვახორციელეთ. შედეგები შესანიშნავია, ლითონსხმულის ხარისხი საუკეთესო.

ახლა ამავე ცხრილის გამოყენებას იწყებენ ჩვენი ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროს სხვა ბრიგადებიც.

თ. ლორთქიფანიძე

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მეყალიბე, ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში

○ **ქარხანა „დაზგასთან“** შენდება ახალი კორპუსი. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ კორპუსში მოთავსდება ქარხნის სარემონტო-მექანიკური, ელექტრო-სარემონტო და დამამზადებელი საამქროები, აგრეთვე საწყობები მასალებისა და მზა პროდუქციისათვის. მშენებლობას აწარმოებს ტრესტი „თბილმშენი“. დანადგარები ახალ საამქროთა მოსაწყობად უკვე მიღებულია.

○ **თბილისის აბრეშუმსაქსოვი** ფაბრიკის დირექციამ ადგილობრივი მუშათა კლუბისათვის შეიძინა ხმოვანი კინოაპარატი. ამ დღეებში დამთავრდება აპარატის გამართვა და აპრილის ბოლო რიცხვებიდან კლუბში სისტემატურად მოეწყობა ახალი კინოფილმების ჩვენება.

○ **ორჯონიკიძის სახელობის** მანქანათმშენებელ ქარხანაში აითვისეს და გამოუშვეს ინჟინერ ნ. აბჟანდაძის მიერ კონსტრუირებული ჩაის სასხლავი ახალი სისტემის მანქანა. 13 აპრილს ამ სისტემის პირველი მანქანა უკვე გაიგზავნა ჩაის პლანტაციაში საცდელად.

○ **მეორე სამკერვალო** ფაბრიკაში მიიღეს და გამართეს 16 ცალი საუთოვებელი მექანიკური აპარატი (ელექტროწნეხი), რასაც პირველად იყენებენ საქართველოს სამკერვალო მრეწველობაში. ფაბრიკას შეკვეთილი აქვს და კვლავ მოელის 10 ცალ ასეთ აპარატს.

○ **თბილისის ფეხსაცმლის** პირველ ფაბრიკაში შეუდგნენ მზადებას ცხელი ვულკანიზაციის ახალი საამქროს მოსაწყობად მამაკაცის ფეხსაცმლის გამოსაშვებად. ამჟამად ამუშავებული ვულკანიზაციის საამქრო მუშაობს მოზარდთა ფეხსაცმლის გამოშვებაზე.

○ **თბილისის ბამბის** ძაფსართავი ფაბრიკის დირექციამ შეიძინა და მუშებისათვის მოაწყო მეფუტკრეობის ფერმა სოღანლუღში. ფერმაში ამჟამად უკვე ჰყავთ 52 ძირი ფუტკარი.

მივცეთ საბჭოთა ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი

(ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი)

შესდგა საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ჩაის ფაბრიკების დირექტორები, მთავარი ტექნოლოგები, აგრონომები და ჩაის მრეწველობის სპეციალისტები. საქართველოს ჩაის მრეწველობის 1947 წლის მუშაობის შედეგებსა და 1948 წლის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველმა ამხ. მ. სარჯველაძემ.

საქართველოს ჩაის მრეწველობამ, — აცხადებს მომხსენებელი, — 1947 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 35.555 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმა შესრულებულია 118,5 პროცენტით და გამოშვებულია 8.138,9 ტონა მზა პროდუქცია, გეგმის 115,1 პროცენტი. უხეში ფოთლის ნახევარფაბრიკატის გამოშვების გეგმა შესრულებულია 167,8 პროცენტით, მწვანე აგურა ჩაის — 130,2 პროცენტით, ხოლო განწონილი ჩაისა — 116,7 პროცენტით. 1947 წელს ჩვენ გამოვუშვით 13,3 ტონა ჩაი — „საქართველოს თაიგული“. ჩაი „ექსტრას“ გამოშვების გეგმა განაღდებულია 139,7 პროცენტით, უმაღლესი ხარისხის ჩაისა — 145 პროცენტით, პირველი ხარისხისა — 155,8 პროცენტით. მიღწეულია ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვა, დაზოგილია ელექტროენერგია და საწვავი. შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება შესრულებულია 117 პროცენტით. შესამჩნევად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. საქართველოს ჩაის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით მოგვცა 35 მილიონ 770 ათასი მანეთი მოგება.

მაგრამ ეს წარმატებანი როდი ნიშნავს იმას, თითქოს ყველა საწარმო კარგად მუშაობდეს. ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმები არ შეუსრულებიათ გალის, აჩიგვარის, მოქვისა და ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკებს. დაბალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვეს ნაბაკევის ჩაის ფაბრიკამ — 8.600 კილოგრამი, მოქვისამ — 2.390, ხოლო ბანძისამ — 1.500 კილოგრამი. ცუდი დახარისხებისა და ტენიანობის დაუცველობის გამო პროდუქციის ნაწილი უკან დაუბრუნდათ მახარაძის, წალენჯიხის, ხუცუბნის, ნაბაკევის, ქობულეთის, აცანის, სალიბაურის, ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკებს.

ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში სისტემატურად ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესები, ყურადღებას არ აქცევდნენ სისუფთავის დაცვას. თავიანთი ცუდი მუშაობით ამ ფაბრიკის დირექტორმა ამხ. გურალიამ და ყოფილმა ტექნოლოგმა ამხ. მანაგაძემ ასეული ათასი მანეთი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. ანტისანიტარული მდგომარეობაა ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკაში. აქ მზა პროდუქცია იატაკზე ეყარა და ფეხით თელავდნენ. მსგავსი მდგომარეობაა მოქვის ჩაის ფაბრიკაშიც.

მომხსენებელმა მოიყვანა მასალების უყაირათოდ ხარჯვისა და საფინანსო დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტები. ქობულეთის ჩაის ფაბრიკაში შარშან გადახარჯეს 258 ცალი ფანერი, 101 კილოგრამი ლურსმანი, 3.825 კილოგრამი ქაღალდი, დაჰკარგეს 614 ცალი ტომარა, არადანიშნულებისამებრ გასცეს მაზუთი, ბენზინი, ცემენტი, ხე-ტყე და სხვა. ლაითურის ჩაის ფაბრიკამ გაანიავა 30.000 მანეთი. საფინანსო რეჟიმი დაარღვიეს ორპირის, ხობის, ჩხოროწყუსა და სუფსის ჩაის ფაბრიკებმა.

ამხ. სარჯველაძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მანქანა-იარაღების ტექნიკური სიმძლავრის უნარიანად გამოყენებაზე, ტექნოლოგიური პროცესებისა და სისუფთავის მტკიცედ დაცვის საჭიროებაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წარმოების პროცესების მექანიზაციის, მანქანა-დანადგარების სწორი ექსპლოატაციის, ავტოტრანსპორტის დანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხები. ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ გამომგონებლებს და დროულად განვახორციელოთ რაციონალიზატორული წინადადებანი.

1948 წელს ჩაის მრეწველობის მუშაკთა წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგას. შარშანდელთან შედარებით წელს უნდა გადავამუშაოთ ჩაის ფოთოლი და გეგმის გადაჭარბებით მივცეთ ქვეყანას ასეულობით ტონა ჩაის პროდუქცია. წელს უნდა გამოვუშვათ მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი. შარშანდელთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება უნდა შემცირდეს 1,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადიდდეს 8 პროცენტით, დაზოგილ იქნას ელექტროენერგია 300.000 კილოვატსაათი და 300 ტონა საწვავი. ამ დავალების შესრულება ჩაის მრეწველობის მუშაკთა დაძაბულ შრომას მოითხოვს. საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების მიმდინარე წლის სეზონს.

ამხ. სარჯველაძის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მთავარმა ტექნოლოგმა ამხ. ჯოჯუამ ილაპარაკა ტექნოლოგიური პროცესების შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ფაბრიკაში ფართო საწარმოო ცდის დანერგვის მოწყობა, რათა გამოვლინდეს ახალი საშუალებანი პროდუქციის ხარისხის შემდგომ გასაუმჯობესებლად. — მახარაძის ჩაის ფაბრიკამ, — განაცხადა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ბილიხოძემ, — ნედლეულის დამზადების გეგმა 110,5 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოს მისცა დაგროვება 341.000 მანეთი. ამხ. ბილიხოძემ აღნიშნა, რომ სამტრედიის ქარხანა შეკვეთებს არ ასრულებს. მან 18 მოტორის ნაცვლად ფაბრიკას მისცა 11. თათბირის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის დირექტორის ამხ. კიტიას გამოსვლამ. იგი ცდილობდა ნაკლოვანებანი ფაბრიკის მუშაობაში „ობიექტური მიზეზებით“ აეხსნა. თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ ამხ. ხუროძემ სთქვა, რომ ადგილებიდან ჩაის არაწესიერად აგზავნიან. ხშირად ჩაის ფაბრიკები რკინიგზის საბუთებს არ ურთავენ სპეციფიკაციას. ნაბაკევისა და დიდიჭყონის ჩაის ფაბრიკებიდან გამოგზავნეს დასველებული ჩაი. ფაბრიკები ხშირად არ იცავენ ყუთების სტანდარტს და ზოგან მარკებსაც არასწორად აკრავენ. ამიტომ არის, რომ უმაღლესი ხარისხის ჩაიში ვხვდებით დაბალი ხარისხის ჩაისაც. ამხ. შალამბერიძემ (ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) აღნიშნა, რომ ინსტიტუტმა ჩაის მრეწველობას მისცა 250-ზე მეტი სპეციალისტი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დღემდე არადანიშნულებისამებრ მუშაობს. ამხ. შალამბერიძემ ყურადღება გაამახვილა ფაბრიკებში სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. არ უნდა დავუშვათ ისეთი შემთხვევა, როცა სტუდენტებს ხელმძღვანელობენ არა მთავარი ტექნოლოგები, არამედ დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. წელს ფაბრიკებში გაიგზავნება 200-მდე სტუდენტი და ისინი წესიერად უნდა გამოვიყენოთ. ამხ. ციბაძე („საქართველოს ჩაის“ ტრესტი) შეეხო ჩაის ფოთლის დროულად გადმოზიდვისა და მიღების საკითხებს. მან დაასახელა რუხის, ჩხორიის პუნქტები, რომლებიც მეორე ხარისხის ფოთოლს პირველ ხარისხისად იღებდნენ. ნაბაკევის ჩაის ფაბრიკამ ხარისხების ხელოვნურად აწევით 71.000 მანეთზე მეტი ზარალი ნახა. ასეთი დარღვევები წელს არ უნდა განმეორდეს. დიდიჭყონის ჩაის მეორე ფაბრიკის დირექტორმა ამხ. გვილავამ განაცხადა, რომ საწარმო მზად არის სეზონისათვის. მან თათბირს პირობა მისცა გეგმით გათვალისწინებული 584 ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავების ნაცვლად გადაამუშაოს ერთ მილიონამდე კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ამხ. ჯაფარიძე (ჩაის მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი) შეეხო ფაბრიკებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობას. ბევრგან ირღვევა შრომის ანაზღაურების წესი. ზუგდიდის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში ამხ. ბატატოვამ 2 სახის სამუშაო შეასრულა. მას შრომა აუნაზღაურეს ერთი ნორმით. ამ საკითხებზე ტრესტის ინსტრუქტორებიც ნაკლებად მუშაობენ ადგილებზე. ზოგან დარღვეულია მოქმედი საკვალიფიკაციო თანრიგები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა: შონიამ (ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა), ცივაძემ (ქობულეთის ჩაის ფაბრიკა), კორძახიამ (გალის ჩაის ფაბრიკა), ქავთარაძემ (მოქვის ჩაის ფაბრიკა), ჯომარჯიძემ („საქართველოს ჩაის“ ტრესტი), სიხარულიძემ (ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკა), მელიამ (ნარაზენის ჩაის ფაბრიკა), სტეფანიამ (მაღალეწერის ჩაის ფაბრიკა), ცაგარელმა („საქართველოს ჩაის“ ტრესტი), ქიქავამ (ბანძის ჩაის ფაბრიკა), ჯალაღანიამ (წალენჯიხის ჩაის ფაბრიკა), გურალიამ (ნაბაკევის ჩაის ფაბრიკა), ინჟინერ-გამომგონებელმა მარდალეიშვილმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგემოვნო მრეწველობის მინისტრმა ამხ. ვ. ბაქრაძემ.

— მოწინავე ჩაის ფაბრიკების გამოცდილების გამოყენებით, სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, — ამბობს ამხ. ბაქრაძე, — წელს უნდა უზრუნველვყოთ საწარმოების სანიმუშო მუშაობა, დავალების აუცილებლად შესრულება. ეს მოითხოვს დაძაბულ შრომას. საჭიროა სასწრაფოდ აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონს. მკვეთრად უნდა გავაუმჯობესოთ ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლები, სრულყოფილად, მთელი სიმძლავრით ვამუშაოთ მექანიზმები, დავიცვათ ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური წესები, პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი და ქვეყანას მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის პროდუქცია.

თათბირზე საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკას.

თათბირმა მიიღო მიმართვა ჩაის მრეწველობის ყველა მუშისა და სპეციალისტისადმი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მრეწველობის დარგში ამხ. ა. თოფურიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი ავსტრიის საკითხზე

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). ავსტრიის საკითხის გამო საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა 14 აპრილის სხდომაზე, გრძელდებოდა საბჭოთა წინადადების განხილვა, რომელიც მოითხოვდა იუგოსლავიის წარმომადგენლების მიწვევას იმ მიზნით, რომ მოესმინათ მათი თვალსაზრისი ავსტრიის საზღვრების საკითხზე და ავსტრიის ხელშეკრულების სხვა საკითხებზე, რომლებითაც უშუალოდ დაინტერესებულია იუგოსლავია.

ამერიკის წარმომადგენელმა რებერმა წარმოადგინა წერილის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ მოადგილეთა თათბირი მზად არის იუგოსლავიის მთავრობისაგან მიიღოს მემორანდუმი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება შემდგომი წინადადებანი ავსტრიის ხელშეკრულების საკითხებზე, რომლებითაც დაინტერესებულია იუგოსლავიის მთავრობა.

საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა ამერიკის წარმომადგენლის წერილის პროექტში შეიტანა დამატება, რომელიც ითვალისწინებს ... თუ იუგოსლავიის მთავრობის მემორანდუმში არ იქნება „ახალი წინადადებები".

საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა აღნიშნა, რომ ამერიკისა და ინგლისის დელეგაციების პოზიცია არღვევს მოკავშირე სახელმწიფოს ელემენტარულ უფლებებს და დასძინა, რომ საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია დათანხმდეს იმაზე, რომ იუგოსლავიის უფლება—მოუსმინონ მოადგილეებმა—დაუქვემდებარონ რაიმე წინასწარ პირობებს და ამერიკისა ან ინგლისის დელეგაციის სუბიექტურ პოზიციას.

დღევანდელმა სხდომამ ცხადჰყო, რომ ამერიკისა და ინგლისის დელეგაციები არაფერს ერიდებიან, რათა გაართულონ და გააძნელონ თათბირის მუშაობა. როგორც ცნობილია, 13 აპრილს საბჭოთა დელეგაცია, იმ მიზნით, რომ გამოეყვანა თათბირი სხვა დელეგაციების მიერ შექმნილი ჩიხიდან, რომლებმაც არ მოისურვეს ბოლომდე განეხილათ გერმანიის აქტივების საკითხი, დაეთანხმა მათსავე წინადადებებს, რომ დროებით შეწყვეტილიყო ამ საკითხის განხილვა და შესდგომოდნენ სხვა მუხლების განხილვას. ...

[illegible]

„მთელი რუმინელი ხალხი მისალმება ახალ კონსტიტუციას"

[illegible]

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის მომავალი არჩევნები

[illegible]

სამარი მოქმედება საბერძნეთში

[illegible]

ნენის გამოსვლა რადიოთი

რომი, 14 აპრილი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა პიეტრო ნენიმ, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი სახალხო დემოკრატიული ფრონტის საგარეო პოლიტიკის თემაზე, აღნიშნა, რომ იტალიის არჩევნების წინ შეეხნენ დიდ საერთაშორისო პრობლემებს და ამის აშკარა მიზანია ზეგავლენა მოახდინონ ამომრჩევლებზე. „ეს მით უფრო სერიოზულია, რომ იმპერიალისტის ხელმძღვანელი პოლიტიკური წრეების ავტორიტეტულმა და თვალსაჩინო წარმომადგენლებმა შანტაჟისათვის გამოიყენეს ამერიკის დახმარების საკითხი. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი სისტემა, რომელიც შეურაცხჰყოფს იტალიელთა ღირსებას, მიბრუნდება იმათ წინააღმდეგ, ვინც იგი გამოიყენა და წააქეზა, ვინც მას ითმენდა. ჩვენი ქვეყნის ავანგარდი 25 წლის განმავლობაში იბრძოდა მუსოლინის დიქტატურისაგან ერის განთავისუფლებისათვის და მედგრად ომობდა იმისათვის, რომ იტალია ეხსნა გერმანიის ბატონობისაგან და არა იმისათვის, რომ იტალია კვლავ გამხდარიყო სხვა იმპერიალისტთა კოლონია. მაგრამ მარტო აღშფოთება როდი კმარა. საჭიროა დავძაბოთ ძალღონე იმის გასაგებად, რაც ხდება. ერთადერთი ლოგიკური ახსნა ასეთია:

... გადაიქცეს. აი რატომ ეწევიან მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური და კონსერვატიული წრეები ასეთ შეუპოვარ ბრძოლას ფრონტის წინააღმდეგ და აი რატომ ეწევიან ბრძოლას ფრონტის წინააღმდეგ აგრეთვე სოციალ-დემოკრატები და რეფორმისტები და იმპერიალისტებთან ერთად მოქმედებენ „მესამე ძალის" ეფემერული ორაზროვანი ლოზუნგით.

აი რატომ არის იტალიის სოციალისტური პარტია დისკრედიტაციის განსაკუთრებული კამპანიის ობიექტი ლეიბორისტების მიერ გამოჩენილი და დასავლეთი ბლოკის შესაქმნელად მიმართული თაოსნობის შემდეგ, რომლის უკანაც ამერიკის შეერთებული შტატები იმალებიან. დასავლეთის ბლოკისადმი მიმხრობით ჩვენი ხალხი ჩამოქვეითებული იქნებოდა უცხოეთის ლეგიონის რანგამდე; ჩვენ ვალდებულებას ვიკისრებდით მესამე მსოფლიო ომის დაწყების შემთხვევაში სხვების ინტერესებისათვის გვებრძოლნა; ჩვენ თვითონვე გადავაქცევდით ჩვენს ტერიტორიას ბრძოლების ასპარეზად; ჩვენ მოჩვენებითი ძლიერებისათვის ერთხელ კიდევ მსხვერპლად მივიტანდით სოციალურ-ეკონომიური განახლების ჩვენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს.

[illegible]

დე გასპერის გამოსვლა მილანში

[illegible]

უოლესის პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის მიმართვა იტალიელი ხალხისადმი

[illegible]

ამერიკის ... დემონსტრაცია რომში

[illegible]

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ხომალდები ვენეციაში

[illegible]

ქრონიკა

15 აპრილს „იზვესტიაში" გამოქვეყნდა მოქალაქე ს. ნელსონის წერილი მოსკოვში ამერიკის კორესპონდენტის რ. მაგიდოვის ჯაშუშური საქმიანობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მაგიდოვი იხმეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მას აცნობეს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დასტოვოს საბჭოთა კავშირის ფარგლები. (საკდესი).

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). 12 აპრილს უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ჩილის წარმომადგენლის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ ჩეხოსლოვაკიის საკითხზე შეიქმნას ქვეკომიტეტი და მოსმენილ იქნას „შემდგომი მტკიცებანი". საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. გრომიკომ დაჰგმო ეს წინადადება.

12 აპრილის სხდომაზე მიღწეულ არ იქნა ...

[illegible]

დაიბეჭდა მორიგი ნომერი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის"

[illegible]

... საპარლამენტო პასუხისგებაში მისცეს

[illegible]

ახალი წიგნები

სახელგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები

დ. სულიაშვილის ავტობიოგრაფიული ნარკვევები „წარსულიდან". წიგნში აღწერილია მეფისდროინდელი დუხჭირი ცხოვრება, ავტორის პირველი რევოლუციური ნაბიჯები — მუშათა წრეში მუშაობის დაწყება, შემდეგ საზღვარგარეთ გამგზავრება და იქ პროგრესულ მოაზროვნეებთან დაახლოება, გამოჩენილ რევოლუციონერებთან შეხვედრა.

კრებულის რედაქტორია ი. აბაშიძე.



[illegible]

ამინდი

[illegible]

თეატრები

[illegible]

კინოები

[illegible]

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა 17 აპრილს

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] ტირაჟი 110.000. ... 01903